საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-18/407
11/07/2019

407-შ-19-1-4-201907110946

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

I. საქმის აღწერა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (შემდგომში „კომისია“) 2019 წლის 28 ივნისს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა წერილობით (N16/70834, 28/06/19) აცნობა, რომ მას შემდეგ, რაც კომისიამ შპს „ტელეიმედს“, შპს „ჯი-დი-ეს თი-ვი“-სა და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ს“ დააკისრა გაფრთხილება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის“ შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისთვის და ვალდებულების შესასრულებლად განუსაზღვრა ერთთვიანი ვადა, აღნიშნულ მაუწყებლებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის არ წარუდგენიათ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული აუდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები. კომისიის 2019 წლის 11.04.19 N219/18 გადაწყვეტილება შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს ჩაბარდა 2019 წლის 22 აპრილს. შესაბამისად, 2019 წლის 22 მაისს ამოიწურა შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-სთვის“ კომისიის მიერ განსაზღვრული ერთთვიანი ვადა. შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ს“ ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია.

კომისიაში დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების საკითხის განხილვის მიზნით, ხოლო საკითხის განხილვა დაინიშნა 2019 წლის 11 ივლისს 15:00 საათზე. აღნიშნულის თაობაზე შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს გაეგზავნა შეტყობინება და განემარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლებით გათვალისწინებული მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების

წარმოდგენის, ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტებისა და სხვა მასალების გაცნობის უფლება.

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-მა 2019 წლის 11 ივლისს წერილობით (შ-19-6/2967) მომართა კომისიას და განმარტა, რომ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ მოკლებულია შესაძლებლობას წარადგინოს აუდირებული ანგარიშგების დოკუმენტი ფინანსური პრობლემებისა და იმ ფაქტის გამო, რომ აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა შეუძლებელი გახადა შესაბამისი კვალიფიციური აუდიტის დათანხმება მოკლე დროში სერვისების გაწევაზე, მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებლის მიერ თადარიგი წინსწრებით იყო დაჭერილი. კომპანიის განმარტებით, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, კომპანიამ უნდა წარადგინოს აუდიტის დასკვნა ყოველი წლის პირველ ოქტომბრამდე. შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის განცხადების თანახმად, აღნიშნულ კანონში ცვლილებები შევიდა იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული საანგარიშო პერიოდი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიამ მოითხოვა ვალდებულების შესრულების გადავადება 2019 წლის პირველ ოქტომბრამდე.

2019 წლის 11 ივლისის კომისიის სხდომაზე არ გამოცხადდა შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის წარმომადგენელი. სამაუწყებლო კომპანიამ კომისიას წარუდგინა საკუთარი მოსაზრება წერილობით, თუმცა არ უშუამდგომლია საკითხის გადადების თაობაზე. შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ისთვის ცნობილი იყო სხდომის დღის, დროისა და ადგილის შესახებ. ამდენად, კომისიამ შეასრულა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილით მასზე დაკისრებული ვალდებულება დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვისა და მონაწილეობის უზრუნველყოფის თაობაზე, შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის დაუსწრებლად.

II. კომისიის მიერ შესწავლილი მტკიცებულებები;

1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის წერილი (28.06.19, N16/70834);
2. კომისიის 2019 წლის 11 აპრილის N219/18 გადაწყვეტილება „შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;
3. შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სთვის კომისიის 2019 წლის 11 აპრილის N219/18 გადაწყვეტილების ჩაბარების დამადასტურებელი საფოსტო დოკუმენტი (გზავნილის კოდი NAP01006134823);
4. შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სთვის შეტყობინებისა და თანდართული წარმოების მასალების კურიერის მიერ ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის წერილობითი პოზიცია (11.07.2019 Nშ-19-6/2967).

III. კომისიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

1. შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ წარმოადგენს მაუწყებლობის სფეროში კომისიის მიერ ავტორიზებულ პირს;

2. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ კომისიისთვის მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის ბაზის მიხედვით, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ წარმოადგენს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ფ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ II კატეგორიის საწარმოს;

3. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ ვალდებულია ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), მმართველობის ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინონ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით;

4. კომისიის 2018 წლის 27 დეკემბრის N725/18 გადაწყვეტილებით, ავტორიზებულ პირებს, მათ შორის შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს განესაზღვრათ დამატებით ვადა, 2019 წლის 15 თებერვლამდე ბუღალტრული ანგარიშგებების წარსადგენად, თუმცა აღნიშნულ ვადაში არ იქნა შესრულებული ვალდებულება შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის მიერ;

5. „შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომისიის 2019 წლის 11 აპრილის N219/18 გადაწყვეტილებით შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს დაეკისრა გაფრთხილება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის და კომისიის 2018 წლის 27 დეკემბრის N725/18 გადაწყვეტილების დარღვევის გამო;

6. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაციით, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს დღემდე არ წარუდგენია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფინანსური დოკუმენტი - აუდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები.

IV. სამართლებრივი საფუძველი და დასაბუთება

1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სუბიექტი (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა) ვალდებულია მისთვის ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), მმართველობის ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული

ანგარიშგება), სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით;

2. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება. მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესს შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებით ადგენს სამსახური. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მმართველობის ანგარიშგება მოიცავს: ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები;

3. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ კანონისა და მის საფუძველზე მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს რეგულირებისადმი/ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის მიმართ გამოსაყენებელ სანქციებს განსაზღვრავს შესაბამისი მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო;

4. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და კონსოლიდაციის წესების, მე-7 მუხლის, მე-8 მუხლის, მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და მე-16 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობა ან/და აუდიტორული შემოწმების ჩატარებისათვის თავის არიდება გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას: ა) მეოთხე კატეგორიის საწარმოსი – 500 ლარის ოდენობით; ბ) მესამე კატეგორიის საწარმოსი – 1 000 ლარის ოდენობით; გ) მეორე კატეგორიის საწარმოსი – 5 000 ლარის ოდენობით; დ) პირველი კატეგორიის საწარმოსი და სდპ-ისა – 10 000 ლარის ოდენობით. ხოლო მეორე პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის სამსახურმა შესაძლებელია ფულადი ჯარიმის ნაცვლად წერილობითი გაფრთხილება გამოიყენოს. სამსახურის წერილობითი გაფრთხილების შეუსრულებლობის ან/და პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 1 თვის ვადაში შესაბამისი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სუბიექტს უორმაგდება დაკისული ჯარიმის ოდენობა;

5. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია ამ კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენა. ამ შემთხვევაში უფლებამოსილი პირი აღნიშნული საქმის განხილვის შედეგებზე დაყრდნობით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს შესაბამისი მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო.

კომისია აღნიშნავს, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სუბიექტი ვალდებულია, მისთვის აღნიშნული კანონით დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდში, თანაც ეტაპობრივად, დოკუმენტაციის წარსადგენად კომპანიებს კანონით განსაზღვრული ჰქონდათ 9 თვე საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან. ამდენად, კომისია ვერ გაიზიარებს შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის პოზიციას შეზღუდულ ვადებთან დაკავშირებით, მით უფრო, რომ კომისიამ ორჯერ განუსაზღვრა დამატებითი ვადა შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს ვალდებულების შესასრულებლად და ვადაგადაცილებიდან (2018 წლის 1 ოქტომბრიდან) გასულია 9 თვეზე მეტი, ვალდებულება კი კვლავ არ არის შესრულებული. 2019 წლის პირველ ოქტომბერს შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს წარსადგენი ექნება 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ანგარიშგებების, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში წარუდგენლობით დარღვეულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი, რაც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად სანქცირების საფუძველია. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სამართალდარღვევისთვის შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს გაფრთხილება უკვე დაეკისრა, კომისიას მიაჩნია, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომპანიას უნდა დაეკისროს ჯარიმა 5000 (ხუთიათასი) ლარის ოდენობით, ასევე, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს უნდა განესაზღვროს ერთ თვიანი ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად.

V. სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 95-ე, 96-ე და 97-ე მუხლების, „ბუღალტრული

აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და კომისიის 2019 წლის 11 აპრილის N219/18 გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს დაეკისროს ჯარიმა 5000 (ხუთიათასი) ლარის ოდენობით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის გამო;

2. უზრუნველყოს შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-მა წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა 30 სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

   ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის ნომერი - 200122900;

   ბანკი-სახელმწიფო ხაზინა; კოდი - TRESGE22;

   სახაზინო კოდი - 300773251;

3. უზრუნველყოს შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-მა წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი საბუთის კომისიაში წარმოდგენა, გადახდიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

4. უზრუნველყოს შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-მა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული აუდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში წარდგენა ერთი თვის ვადაში;

5. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას აღნიშნული გადაწყვეტილების შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სთვის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის გაგზავნა (ნ. ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);

6. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს (თ.ხუხუნაიშვილი) შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სთვის სანქცირების თაობაზე ინფორმაციის კომისიის შესაბამის უწყებრივ რეესტრში შეტანის უზრუნველყოფა;

7. გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სთვის ჩაბარების დღიდან;

8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით

აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6) კომპანიისთვის ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;

9. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების (მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გარდა) შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას

10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი